სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ 2012 წლის 16 თებერვალს განხილული საქმეების მოკლე მიმოხილვა

- *ბელიაევი და დიგტიარი უკრაინის წინააღმდეგ – განაცხადი №№16984/04 და 9947/05*

აპლიკანტები უკრაინის მოქალაქეები არიან, დაიბადნენ 1981 და 1979 წლებში და ამჟამად სამუდამო პატიმრობის სასჯელს იხდიან უკრაინის ციხეში. ისინი ჩივიან, რომ მათ მიმართ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი, მე-8 მუხლი და 34-ე მუხლი.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი ორივე აპლიკანტის მიმართ არასათანადო და დამამცირებელ პირობებში პატიმრობის გამო, დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი ორივე აპლიკანტის მიმართ მათი პირადი კორესპოდენციის შემოწმების გამო და ასევე, დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის 34-ე მუხლი, რადგან უკრაინამ ვერ შეასრულა კონვენციის 34-ე მუხლის თანახმად ნაკისრი ვალდებულებები. თითოეულ აპლიკანტს მიეკუთვნა 7.000 ევრო არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად.

- *კონცევიჩი უკრაინის წინააღმდეგ – განაცხადი №9089/04*

აპლიკანტი იაროსლავა კონცევიჩი უკრაინის მოქალაქეა, დაიბადა 1946 წელს და ცხოვრობს ქალაქ კალუშში. 1997 წელს განმცხადებელი თავის ოთხ ვაჟთან ერთად გამოასახლეს ბინიდან ვალის გადაუხდელობის გამო. ადგილობრივმა სასამართლომ გამოსახლება უკანონოდ მიიჩნია და დაადგინა მათი უკან, ბინაში დაბრუნება. მიუხედავად ამისა, აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულება ჯერ არ განხორციელებულა და ქალბატონი კონცევიჩი თავის შვილებთან ერთად 1997 წლიდან ნახევრად დანგრეულ შენობაში ცხოვრობენ.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი, პირველი ოქმის I მუხლი და კონვენციის მე-8 მუხლი. სახელმწიფოს განმცხადებლის სასარგებლოდ დაეკისრა 8.000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად.

- *იაცენკო უკრაინის წინააღმდეგ – განაცხადი №75345/01*

აპლიკანტი სერგეი იაცენკო უკრანის მოქალაქეა, დაიბადა 1975 წელს და ცხოვრობს ხარკოვში. საქმე ეხება 1997 წელს მომხდარ ფაქტს. კერძოდ, გამოძალვაში ეჭვის გამო, იგი დააპატიმრეს და მოათავსეს პოლიციის განყოფილებაში, სადაც მის მიმართ განხორციელდა არაადამიანური მოპყრობა – მას სცემდნენ, წიხლებს ურტყავდნენ, გააშიშვლეს და ემუქრებოდნენ გაუპატიურებით.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი. სახელმწიფოს განმცხადებლის სასარგებლოდ დაეკისრა 3.000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად.

<u>ანალოგი საქმეები</u>

- ***Day s.r.o.* და სხვები ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ – განაცხადი №48203/09**

წარმოდგენილ საქმეში განმცხადებლები ჩივიან, რომ ჩეხეთის კანონმდებლობით მათთვის შეუძლებელი იყო კომპანიის შემცირების/ლიკვიდაციის შედეგად მიღებული მორიგების თანხის რაოდენობა გაესაჩივრებინათ სასამართლოში. განმცხადებლები ჩივიან, რომ მათ მიმართ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი.

<u>გაჭიანურებით განხილული საქმეების თაობაზე</u>

- ***გუილი ლუქსემბურგის წინააღმდეგ – განაცხადი №14356/08***
- ***FPK GROSS, OOO უკრაინის წინააღმდეგ – განაცხადი №18608/05***
- ***მიცევი უკრაინის წინააღმდეგ – განაცხადი №25713/06***

სამივე სამოქალაქო საქმეზე განმცხადებლები ჩივიან საქმის გაჭიანურებით განხილვის გამო.

სასამართლომ სამივე საქმეზე დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი.